განათლების მინისტრმა სახელმწიფო გამოცდების გაუქმების საკითხზე ისაუბრა
ოთხშაბათი, 28 აგვისტო 2013 19:44

"დღეს აზერბაიჯანის უმაღლესი განათლების სისტემაში არსებული ერთ-ერთი პრობლემა ისაა, რომ იმისთვის, რომ სტუდენტი გახდეს, ყველა ერთნაირ გამოცდას აბარებს, უმაღლესი განთლების მიღების დროს ცოდნის შეფასებაში ერთიანი წესი არ არსებობს"
ეს განათლების მინისტრმა მიკაილ ჯაბაროვმა განათლების სამინისტროს ფეისბუქის ოფიციალურ გვერდზე კითხვებზე პასუხისას განაცხადა.
ჯაბაროვმა აღნიშნა, რომ მომავალში უმაღლესი განათლების სისტემაში სახელმწიფო გამოცდების გაუქმება არ იგეგმება: "სახელმწიფო გამოცდების გაუქმებას არ ვგეგმავთ, პირიქით, მომავალში ცოდნის უნიფიკაციის ფორმით შეფასების შესაძლებლობას, ანუ სხვადასხვა უნივერსიტეტების გამოცდების , საგანმანათლებლო სისტემების გავლილი სტუდენტების ერთი კრიტერიუმების შესაბამისად მოპოვებული ცოდნის შემოწმების შესაძლებლობებს ვიძიებთ. ამისთვის სახელმწიფო გამოცდამ ძალიან მნიშვნელოვანი ფუნქცია შეიძლება შეასრულოს. უმაღლესი განათლების სისტემაში მოსწავლე სტუდენტებმა ნებისმიერ ფორმაში სტუდენტობა მხოლოდ და მხოლოდ სწავლისკენ მიმართონ. განათლების შემდეგ მთავარი ისაა თუ როგორი ცოდნით დაასრულეს უმაღლესი, მეორე კი დიპლომში არსებული შეფასებებია. როგორც განათლების სამინისტროს, ჩვენი სამუშაო ის იქნება, რომ დიპლომში ნაჩვენები შეფასებები რეალური ცოდნას შეესაბამებოდეს, დიპლომებში სწორედ ცოდნა იყოს ასახული".

1 / 2

განათლების მინისტრმა სახელმწიფო გამოცდების გაუქმების საკითხზე ისაუბრა ოთხშაბათი, 28 აგვისტო 2013 19:44

2 / 2